

ეთერ სოსელია

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველურ ენათა დივერგენცია და გლოტოქრონოლოგია

რეზიუმე


ქართველურ შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში ბოლო ხანებში კვლავ გამოითქვა მოსაზრება ქართველურ ენათა იმ გენეალოგიური ხის სასარგებლოდ, რომელიც გ. დეეტერსის გენეალოგიური ხისგან განსხვავებულია და გულისხმობს, რომ საერთო-ქართველური ფუძენიდან პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა სვანურ-ზანური ერთიანობა და ქართული - როგორც დამოუკიდებელი ენა; შემდგომში მოხდა სვანურ-ზანურის დიფერენცირება სვანურ და ზანურ ენებად. გ. დეეტერსის სქემა, რომელიც ქართველურ შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში ფაქტობრივად შემოიტანეს აკად. თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა, ვარაუდობს საერთო-ქართველური ფუძენის დივერგენციის პირველ ეტაპზე სვანური ენისა და ქართულ-ზანური ერთიანობის ჩამოყალიბებას.

გარდა სვანურში შემორჩენილი რიგი არქაული თავისებურებებისა და საერთო ენობრივი ინოვაციებისა ქართულსა და მეგრულ-ლაზურს შორის, დეეტერსის გენეალოგიურ ხეს მხარს უჭერს აგრეთვე გლოტოქრონოლოგიური გამოთვლები (ჩატარებული ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გ. კლიმოვისა და თ. გამყრელიძის მიერ), რომლებიც მ. სვოდემის მოდელს ეყრდნობოდა და ჩატარდა ძირეული ლექსიკის როგორც 100-სიტყვიანი, ისე 200-სიტყვიანი სიის ბაზაზე. მართალია, შედეგები რამდენადმე განსხვავებული იყო, თუმცა ორივე გამოთვლის მიხედვით, სვანურის გამოყოფა დაახლოებით ერთი ათასწლეულით წინ უსწრებდა ქართულ-ზანური ერთიანობის დიფერენციაციას, ე.ი. შესაბამისად, ქართულისა და ზანურის დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბებას.

დროთა განმავლობაში მ. სვოდემის გლოტოქრონოლოგიური მოდელში სხვადასხვა მკვლევარმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ს. სტაროსტინის მოდელი, რომელსაც ავტორმა ძირის გლოტოქრონოლოგია უწოდა და რომელიც, როგორც მომდევნო კვლევებმა აჩვენა, შედარებით უფრო ზუსტ შედეგებს იძლევა. ამ უკანასკნელი მოდელის მიხედვით ჩატარდა ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში წარმოდგენილი მასალის წინასწარი ანალიზი, რომლის შედეგები ამკარად მხარს უჭერს დეეტერსის გენეალოგიური ხის სქემას.

საკვანძო სიტყვები: გენეალოგიური ხე, დივერგენცია, გლოტოქრონოლოგია, ქართველური ენები

ქართველურ შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ერთობლივმა ნაშრომმა „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965), რომელმაც, ფაქტობრივად, ახალი პარადიგმა ჩამოაყალიბა ქართველურ შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში და, ასევე, დაამკვიდრა ქართველურ ენათა გენეალოგიური ხე, რომლის ავტორია გ. დეეტერსი და რომელსაც შემდეგი სახე აქვს (Deeters 1930):




სქემა 1. დეეტერსის სქემა

აღნიშნული სქემა გვეუბნება, რომ ქართველური ფუძეენის (საერთო-ქართველურის) დივერგენციის პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა სვანური (როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული) და ქართულ-ზანური ერთიანობა; შემდეგ ეტაპზე მოხდა ზანურ-ქართული ერთიანობის დაშლა: ჩამოყალიბდა ქართული და ზანური; ბოლო ეტაპზე ზანური დაიშალა მეგრულ და ლაზურ ენებად.

თუმცა ქართველურ შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში ცნობილია მეორე სქემაც, რომელსაც თავისი მხარდამჭერები ჰყავს. ამ უკანასკნელს შემდეგი სახე აქვს (იხ. ქვემოთ სქემა 2):

გასაგებია, რომ მოცემული სქემის განმსაზღვრელია სიბილანტთა შესატყვისობანი, კერძოდ:



სქემა 2. ალტერნატიული სქემა

ქართ. სისინა	მეგრ./ლაზ. შიშინა	სვან. შიშინა
მზე	ბჟა/მჟორა	მიჟ
ას-ი	ომ-ი	ამ-ირ
ძმა	ჯიმა/ჯუმა	ჯუმ-ილ „ძმა დისტოვის“
ცხრა	ჩხორო	ჩხარა
მ-ძალ-ე	ძუდ-ე	მგ-ძიდ
ანწლ-ი	ინჭირ-ი	განჭჷ
შიშინა	შიშინა+ველ. სშ.	შიშინა+ველ. სშ.
შვიდ-ი	შევიტ-ი	იშგ ჴიდ
ჩემ-ი	ჩეიმ-ი	მი-შგუ
ჭირ-ი	ჭირ-ი/ნჭირ-ი	ლი-ნჭგრ-ე „გაჭირვება“

რამდენადაც მეგრულ/ლაზური და სვანური ერთნაირ შესატყვისობებს ავლენენ, ისინი გარკვეულ ენობრივ ერთიანობაში განიხილებიან და ეს ერთობა საერთო-ქართველური ფუძეენის დივერგენციის შედეგად ჩამოყალიბებულ ენობრივ ერთეულად წარმოგვიდგება.

აღნიშნული სქემა გვეუბნება, რომ საერთო-ქართველური ენის დივერგენციის პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა ქართული (როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული) და სვანურ-ზანური ერთიანობა; შემდეგ ეტაპზე მოხდა სვანურ-ზანური ერთიანობის დაშლა: ჩამოყალიბდა სვანური

(როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული) და ზანური; ბოლო ეტაპზე ზანური დაიშალა მეგრულ და ლაზურ ენებად.

ნაშრომში „სონანტა სისტემა და აბლაუტი“ ავტორები მიუთითებენ, რომ ფონემური შესატყვისობები დასაშვებია დიალექტებს შორისაც (ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე) და რომ დიალექტთა დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი ხდება მორფოლოგიური და ლექსიკური იზოგლოსები, რომლებიც აერთიანებენ ქართულსა და ზანურს და მიუთითებენ მათ ერთობლივ განვითარებაზე სვანური ენის გამოყოფის შემდეგ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 2-7).

უადრესად მნიშვნელოვანია ლექსიკური მასალის მონაცემები. როგორც ავტორები აღნიშნავენ : „ქართველურ ენათა ლექსიკის ზოგადი მიმოხილვაც კი არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ ლექსიკურად ქართული და მეგრულ-ჭანური შეუდარებლად ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული მათგანი სვანურთან (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 11).

დეეტერსის სქემას მხარს უჭერს აგრეთვე გლოტოქრონოლოგიური გამოთვლებიც. მ. სვოდემის გლოტოქრონოლოგიური მოდელი გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში „შემოიჭრა“ შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში. იგი მონათესავე ენათა ოჯახისთვის ფუძეენის დათარიღების საშუალებას იძლეოდა, ანუ აღნიშნული მოდელი გვთავაზობდა მეთოდს, რომლის საშუალებითაც გამოითვლებოდა ის ქრონოლოგიური სიღრმე, რაც მოცემულ ენას (ენებს) უშუალო წინაპარი ფუძეენისგან ამორებდა. გლოტოქრონოლოგია ემყარება ენობრივი ცვლილებების ისეთ მოდელს, რომელიც ანალოგიურია რადიოაქტიური დაშლის პროცესისა და, ამდენად, შესაძლებელი ხდება შემუშავდეს დათარიღების მეთოდი, ანალოგიური არქეოლოგიაში ფართოდ გამოყენებული ე.წ. რადიოკარბონული დათარიღების მეთოდისა.

ენობრივი ცვლილებების ეს ანალოგიური მოდელი გულისხმობს, რომ არსებობს გარკვეული სიმრავლე უნივერსალური მნიშვნელობებისა, რომლებიც ყველა ენაშია ლექსიკალიზებული. ასეთი ლექსიკური ერთეულები ქმნიან მოცემული ენის ბაზისურ ლექსიკონს. დროთა განმავლობაში ბაზისურ ლექსიკონში ცვლილებები ხდება, ლექსიკონი „იცვითება“ და ზოგიერთ სიტყვას ახალი სიტყვა ჩაენაცვლება (ჩანაცვლების პროცესში ფონეტიკური ცვლილებები არ იგულისხმება). აღნიშნული ცვლილებები, ივარაუდება, რომ რაღაც მუდმივი სიჩქარით მიმდინარეობს. ამგვარად, როდესაც ცნობილია, თუ მოცემულ ენაში რამდენი ერთეულია შემორჩენილი ფუძეენის ბაზისური ლექსიკონიდან და ასევე ცნობილია ცვლილების („ლექსიკის ცვეთის“) სიჩქარე, შეიძლება გამოითვალოს ქრონოლოგიური მანძილი ფუძეენასა და მოცემულ ენას შორის, ანუ დავათარიღოთ ფუძეენა.

წარმოდგენილი გლოტოქრონოლოგიური მოდელი აუცილებლობით გულისხმობდა უნივერსალურ მნიშვნელობათა სიის დადგენასა და ბაზისური ლექსიკონის ცვლილების სიჩქარის განსაზღვრას. განსხვავებული ენების ვრცელი ენობრივი მონაცემების კვლევის შედეგად ამგვარი სია შედგა, ე. წ. სვოდემის სია. ცნობილია სვოდემის სიის ორი ვარიანტი: 100-სიტყვიანი და 200-სიტყვიანი სიები. ასევე, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით განისაზღვრა ბაზისური ლექსიკონის ცვლილების სიჩქარე, თუმცა თავის გამოთვლებში მ. სვოდემი შენარჩუნების ზომას ემყარება (ეს არის ამოსავალი ბაზისური ლექსიკონიდან შენარჩუნებულ

ფორმათა წილი) და შემუშავდა ფორმულა, რომლის მიხედვითაც ხდება შესაძლებელი ფუძეების დათარიღება. გლოტოქრონოლოგიური მეთოდი მალევე პოპულარული გახდა შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში და ჩატარდა შესაბამისი გამოთვლები ენათა განსხვავებული ოჯახებისთვის, ფუძეენათა დათარიღების მიზნით. გლოტოქრონოლოგიური გამოთვლები ჩატარდა ქართველური ენების მიმართაც გ. კლიმოვის მიერ–100-სიტყვიანი სიის მიხედვით (Климов 1952) და თ. გამყრელიძის მიერ–200-სიტყვიანი სიის მიხედვით. გ. კლიმოვის გამოთვლებით: სვანურის გამოყოფა ივარაუდება II ათასწლეულისთვის ჩ.წ.-მდე, ქართულ-ზანურის დაყოფა კი– VIII საუკუნეში; თ. გამყრელიძის გამოთვლებით: სვანურის გამოყოფა ივარაუდება X საუკუნეში ჩ.წ.-მდე, ქართულ-ზანურის დაყოფა კი–ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე. მართალია, შედეგები განსხვავებულია, თუმცა ორივე შემთხვევაში სვანურის გამოყოფა 1 ათასწლეულით წინ უსწრებს ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლას.

მ. სვოდემის მოდელი გამოჩენისთანავე კრიტიკის საგანი გახდა მკვლევართათვის; განსაკუთრებით პრობლემური იყო გადაწყვეტა საკითხისა: ბაზისური ლექსიკონის ცვლილების („ლექსიკის ცვლის“) სიჩქარე არის კი მუდმივი და უნივერსალური სიდიდე, ერთნაირად დამახასიათებელი ყველა ენისათვის, როგორც ამას გლოტოქრონოლოგიური მოდელი ვარაუდობდა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად იკვლევდნენ სხვადასხვა ოჯახის ენებს და ცდილობდნენ გლოტოქრონოლოგიური მეთოდის რამდენადმე დაზუსტებას. მ. სვოდემის მოდელის დახვეწა-დაზუსტებაში დიდი როლი შეასრულა ნოსტრატული ენების ცნობილმა მკვლევარმა ს. სტაროსტინმა (Старостин 1989). თავის ნაშრომში „Сравнительно-историческое языкознание и лексикостатистика“ იგი დაწვრილებით განიხილავს მ. სვოდემის მოდელს და მას არსობრივად სწორად მიიჩნევს, რადგანაც თვლის, რომ ენის ერთადერთი სფერო, რომელშიც ცვლილების სიჩქარე მეტ-ნაკლებად თანაბარია და რომელიც, ამავე დროს, მოსახერხებელია რაოდენობრივი თუ სტატისტიკური შეფასებისთვის, არის სწორედ ლექსიკა. მიუხედავად იმისა, რომ გლოტოქრონოლოგიის მეთოდიკა გარკვეულ მკვლევართა მხრიდან საკმაოდ მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა, ს. სტაროსტინის აზრით, მასზე უარის თქმა გამართლებული არაა. ავტორი აღნიშნავს, რომ: „ნებისმიერმა კომპარატივისტმა, რომელსაც გლოტოქრონოლოგიურ გამოთვლებთან ჰქონია საქმე, იცის, რომ ახლომდგომ დიალექტებს სვოდემის 100-სიტყვიანი სიაში 90%-იანი თანხვედრა აქვთ; ახლომონათესავე ენები (სლავური, რომანული, გერმანიკული, თურქული თუ სხვ., რომლებიც დაახლოებით 1,5-2 ათასწლეულის წინათ ჩამოყალიბდნენ), აღნიშნულ სიაში 70-80%-იან თანხვედრას ავლენენ; დაბოლოს, ამავე სიის მიხედვით, ზოგიერთ უძველეს ინდოევროპულ ენათა შორის თანხვედრა შეადგენს დაახლოებით 30%-ს“ (Старостин 1989:21).

ბევრი სხვა მკვლევრის მსგავსად, ს. სტაროსტინი განასაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გლოტოქრონოლოგიის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს,–რომ ბაზისური ლექსიკონის ცვლილების სიჩქარე მუდმივი სიდიდეა. როგორც ზემოთ აღინიშნა, გლოტოქრონოლოგიური მოდელი არის ზუსტი ანალოგი არქეოლოგიაში გამოყენებული დათარიღების მეთოდისა, რომელიც, თავის მხრივ, რადიოაქტიური დაშლის პროცესს ემყარება. მაგრამ, როგორც ს. სტაროსტინი შენიშნავს, სიტყვები ნეიტრონებისგან განსხვავდება: დროის

გარკვეული t მონაკვეთის შემდეგ კონკრეტული ნეიტრონი ან გადარჩება, ან არა. ნეიტრონებისგან განსხვავებით, სიტყვა შეიძლება „დაძვლედეს“ („მოძვლედეს“); ფონეტიკური ცვლილებების გარდა, შეიძლება შეიცვალოს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა (დავიწროვდეს ან გაფართოვდეს, ან სულაც დიამეტრულად შეიცვალოს), შეიძლება მისი გამოყენების არეალი შეიზღუდოს, ან შედარებით იშვიათად გამოიყენებოდეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ჩნდება იდეა, ლექსიკის ცვლილების სიჩქარე დამოკიდებული უნდა იყოს t დროის სიდიდეზე.

რაც შეეხება ბაზისურ ლექსიკონს, როგორც ს. სტაროსტინი შენიშნავს, გლოტოქრონოლოგიაში მომუშავე ნებისმიერი მკვლევრისთვის ცხადია, რომ ყველა სიტყვას (თუნდაც სვოდემის 100-სიტყვიანი ბაზისური ლექსიკონის მიხედვით) შენარჩუნების ერთნაირი შანსი არა აქვს. მოცემული კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვისთვისაც კი ცვლილების სიჩქარე განსხვავებული იქნება ენების მიხედვით, რამდენადაც იგი კულტურულ გარემოცვაზეც უნდა იყოს დამოკიდებული. ბაზისური ლექსიკონის ამგვარ წარმოდგენას ს. სტაროსტინმა მიუყენა გარკვეული მათემატიკური აპარატი, რომელიც ასევე ითვალისწინებდა დამოკიდებულებას ლექსიკის ცვლილების სიჩქარესა და დროს შორის და შექმნა ქრონოლოგიური სიდრმის გამოსათვლელი ფორმულა.

ს. სტაროსტინი სამართლიანად შენიშნავს, რომ გლოტოქრონოლოგიაში სტატისტიკა თითქმის არა გვაქვს (მიიღება ერთი შედეგი, დაზუსტების მიზნით შედეგების სერიის მიღების შესაძლებლობას გლოტოქრონოლოგია არ იძლევა), ს. სტაროსტინი გვთავაზობს მეთოდიკას, რომელსაც უწოდებს ძირის გლოტოქრონოლოგიას, ანუ ეტიმოლოგიურ ლექსიკოსტატისტიკას და აყალიბებს მის ძირითად პოსტულატებს (Старостин 1989).

ს. სტაროსტინი აღგვიწერს პროცედურას, როგორ უნდა ჩატარდეს გამოთვლა: ავიღოთ რომელიმე A ენის იმ მოცულობის ტექსტი, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას ამოვარჩიოთ 100 არანასესხები ძირეული მორფემა და დავძებნოთ ეტიმოლოგიური შესატყვისები მონათესავე ენებში. სწორედ ყველა მონათესავე ენაში დადასტურებული შესატყვისობების რაოდენობა არის ძირითადი განმსაზღვრელი იმ ქრონოლოგიური სიდრმისა, რომელიც ფუძეენას მონათესავე ენათაგან ამორებს. გასაგებია, რომ შესატყვისობათა რაოდენობა დამოკიდებულია ამოსავალი 100 ძირის შერჩევაზე. სტაბილური შედეგისათვის სასურველია შეირჩეს თანაბარი სიხშირის ძირები, ეს კი ძირთა სიხშირული ლექსიკონის არსებობის შემთხვევაში მოხერხდება, თუმცა ამგვარი ლექსიკონის შედგენა საკმაოდ რთული საქმეა.

აღნიშნული პროცედურა შესაძლებელია განმეორებით ჩატარდეს, რაც მიღებული შედეგის დაზუსტების საშუალებას იძლევა. ნაკლებად შესწავლილი ენების შემთხვევაში, როცა ხშირად ტექსტები არც არსებობს, ს. სტაროსტინი გვთავაზობს ტექსტის ნაცვლად სვოდემის 100-სიტყვიანი სიის გამოყენებას.

ნათელია, რომ იმ ენებში, რომლებიც გენეტიკურად ყველაზე ახლოს არიან A ენასთან, დადასტურდება შესატყვისობათა მაქსიმალური რაოდენობა და რაც უფრო იზრდება ენის დაშორება A ენისგან, მით უფრო მცირდება შესატყვისობათა რაოდენობა.

როგორც ვხედავთ, ძირის გლოტოქრონოლოგიის მიხედვით კვლევა აუცილებლობით გულისხმობს, რომ ჩატარებული უნდა იყოს საკვლევი ენის

(ენების) წინასწარი საკმაოდ ღრმა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. ვფიქრობთ, ქართველური შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა ნამდვილად იძლევა შესაძლებლობას აღნიშნული მოდელის მიხედვით ჩატარდეს სრული სტატისტიკური კვლევა, რისთვისაც ჩავთვალეთ, რომ საჭიროა ნიადაგის მომზადება და ამ მიზნით შევასრულეთ კიდევ გარკვეული სამუშაო. კვლევის ამ ეტაპზე შემოვიფარგლეთ სარკველადე-ფენრიხის ეტიმოლოგიური ლექსიკონით (ფენრიხი, სარკველადე, 2000) და ქვემოთ გთავაზობთ ჩატარებული წინასწარი კვლევის შედეგებს:

აღნიშნულ ლექსიკონში სულ რეკონსტრუირებულია 1351 ერთეული; მათგან 111 არის აფიქსი, დანარჩენი 1240 ძირითადად ძირეული მორფემაა, თუმცა შეიძლება შეგვხვდეს ფუძეც. ჩვენთვის საინტერესოა შესატყვისობები ძირებს შორის.

ოთხივე ქართველურ ენას შორის დასტურდება ასეთი 209 შესატყვისობა;

შესატყვისობები მხოლოდ სამ ქართველურ ენას შორის (ამ შემთხვევაში შესატყვისი ძირეული მორფემა მეოთხე ქართველურ ენაში არ არის გამოვლენილი) შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

ქართული : მეგრული : ლაზური – 295 შესატყვისი ძირი

ქართული : მეგრული : სვანური – 85 შესატყვისი ძირი

ქართული : ლაზური : სვანური – 23 შესატყვისი ძირი

მეგრული : ლაზური : სვანური – 16 შესატყვისი ძირი

უკვე ეს მონაცემები ცალსახად მიანიშნებს, რომ ქართული, მეგრული და ლაზური გენეტიკურად შედარებით ახლომდგომი ენებია.

რაც შეეხება შესატყვისობებს მხოლოდ ორ ქართველურ ენას შორის (ამ შემთხვევაში შესატყვისი ძირეული მორფემები დანარჩენ ორ ქართველურ ენაში არ არის გამოვლენილი), აქ შემდეგი სურათი გვაქვს:

ქართული : მეგრული – 341 შესატყვისი ძირი

ქართული : სვანური – 195 შესატყვისი ძირი

ქართული : ლაზური – 63 შესატყვისი ძირი

მეგრული : სვანური – 8 შესატყვისი ძირი

ლაზური : სვანური – 5 შესატყვისი ძირი

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტი შესატყვისი ძირი დანარჩენ ქართველურ ენებთან (თუნდაც ერთ მათგანთან) ეძებნება ქართულს; გარდა ამისა, რამდენადაც ქართულ-მეგრული შესატყვისობები რაოდენობრივად ბევრად აღემატება ქართულ-სვანურ შესატყვისობებს, უნდა მიანიშნებდეს, რომ ქართული გენეტიკურად უფრო ახლოსაა მეგრულთან, ვიდრე – სვანურთან; ამასთანავე, მეგრულ-სვანური და ლაზურ-სვანური შესატყვისობების სიმწირე მეგრულ-ლაზურსა და სვანურს შორის გენეტიკური სიმორის მაჩვენებელი უნდა იყოს.

შესატყვისი ძირების რაოდენობის მიხედვით ქართველური ენები შემდეგ სურათს გვიჩვენებენ:

ქართულთან შესატყვისი ძირები – 1211 (რეკონსტრუირებული ძირების 97,7%)

მეგრულთან შესატყვისი ძირები – 954 (რეკონსტრუირებული ძირების 76,9%)

ლაზურთან შესატყვისი ძირები – 611 (რეკონსტრუირებული ძირების 49,3%)

სვანურთან შესატყვისი ძირები – 541 (რეკონსტრუირებული ძირების 43,6%)

რამდენადაც სვანურთან შესატყვისი ძირების რაოდენობა ყველაზე მცირეა, ეს უნდა მიანიშნებდეს, რომ სვანური გენეტიკურად ყველაზე მეტად არის დაშირებული დანარჩენი ქართველური ენებისგან.

საინტერესო სურათს იძლევა შესატყვისობათა გადანაწილება ქართველურ ენათა წყვილებში:

ქართული : მეგრული – 930

ქართული : ლაზური – 590

მეგრული : ლაზური – 520

ქართული : სვანური – 512

მეგრული : სვანური – 318

ლაზური : სვანური – 253

როგორც ვხედავთ, სვანურთან შესატყვისი ძირების რაოდენობა ყველაზე მცირეა, რაც ადასტურებს, რომ გენეალოგიურ ხეში სვანური განცალკევებულ განშტოებას ქმნის; ის ფაქტიც, რომ სვანურს დანარჩენ ქართველურ ენათაგან ქართულთან აქვს უფრო მეტი შესატყვისობა, ვიდრე მეგრულთან ან ლაზურთან, მაჩვენებელია იმისა, რომ სვანური გენეტიკურად უფრო ახლოსაა ქართულთან (მეგრულთან და ლაზურთან შედარებით).

ამგვარად, შესატყვისობებთან დაკავშირებული ზემოთ წარმოდგენილი რიცხობრივი მონაცემები და მათი ანალიზი ცხადყოფს დეეტერსის სქემის მართებულობასა და უპირტესობას ალტერნატიულ სქემასთან შედარებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე, თამაზ და მაჭავარიანი, გივი. *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში*. თბილისი: „მეცნიერება“, 1965.
2. ფენრიხი, ჰაინც და სარჯველაძე, ზურაბ. *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: სულხა-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.
3. Deeters, Gerhard U. W. *Das kharthwelische Verbum, Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen*. Leipzig: Verlag von Markert & Petters, 1930.
4. Swadesh, Morris. “Towards greater accuracy in lexicostatistic dating”, *International Journal of American Linguistics* 21 (1955), 121-37.
5. Сводеш, Морис. „Лексикостатистическое датирование доисторических этнических контактов (на материале племен эскимосов и североамериканских индейцев)“, в *Новое в лингвистике*, Вып. I, 23-87. Москва: Издательство Иностранной Литературы, 1960.
6. Старостин, Сергей Анатольевич. „Сравнительно-историческое языкознание и лексикостатистика“, в *Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока*, 3-39. Москва: Академия Наук СССР, 1989).